სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 14 ნოემბერი 2018 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ირმა თირქია - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

ირმა ოქროპირიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი;

სხდომას არ ესწრებოდა:

ია ძებისაური- სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი.

ნატალია ედიშერაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი- საქართველოს, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის მენეჯერი.

ნინო გორდეზიანი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კუთვნილი ჰიუნდაის მარკის ავტომანქანების შეკეთები და ტექნიკური მომსახურების (CPV 50112100 - მანქანის შეკეთება) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია. ჩატარებული ფასთა კვლევის ოქმზე დაყრდნობით, სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 17250 (ჩვიდმეტი ათას ორასორმოცდაათი) ლარი დღგ-ს გარეშე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დავით ხვედელიძე -

სატენდერო კომისიის წევრები: ირმა თირქია -

ნიკო გიგოლაშვილი -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ირმა ოქროპირიძე -

ირინე სადრაძე -